თიბისი ბანკი

ფასთა კოტორება ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შესრულებაზე

RFP

სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შესრულების ელექტრონულ ფასთა კოტირებაში მონაწილეობისათვის.

I. მონაწილეობის წესები

წინადადებების გამოგზავნა შესაძლებელია: 28.05.2026წ. 12:00-დან 16:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
მერაბ ჯაფარიძე (ინჟინერი) – 595 957 870 MeJaparidze@Tbcbank.ge

დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.ge

II. პირობები

ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით (დ.ღ.გ., საშემოსავლო და ა.შ.)

შემოთავაზება შევსებული უნდა იყოს ბანკის მიერ წარმოდგენილ **„დანართ N1“**-ის ფორმში, სადაც მოცემულია შესასრულებელ სამუშაოთა საჭირო მოცულობები. **„დანართ N1“**-ში ივსება მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოების ფასთა გრაფები, დანარიცხების პროცენტული სიდიდეები და შემსრულებლის მონაცემები.

დანარიცხების გრაფაში არ არის საშემოსავლოს პუნქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადი ხელფასების სვეტში უნდა იყოს გათვალისწინებული. დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება (ხელშეკრულების ნიმუში იხილეთ წარმოდგენილი დრაფტის სახით) დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს გამოცხადებულ მოთხოვნებს მასალების ხარისხისა და შესრულების ვადის კუთხით.

გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები.

ფასთა კოტირებაში მონაწილეობით შემსრულებელი ადასტურებს, რომ მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს. ამასთან, ხსენებული მოთხოვნები გამყიდველის მიერ დაცული იქნება ბანკთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. ამასთანავე, გამყიდველი ვალდებულია ბანკისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაცია

განახორციელოს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით.

გამარჯვებული ვალდებულია სამუშაოები წარმართოს საქართველოს მთავრობის N341 დადგენილების შესაბამისად, რაც გულისხმობს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების ტექნიკურ რეგლამენტს (იხ. თანდართული).

მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge

წინადადების მოქმედების ვადა: მინიმუმ 30 კალ. დღე.

III. წარმოსადგენი ინფორმაცია:

კომპანიის რეკვიზიტები

კომპანიის იურიდიული სახელი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
საკონტაქტო პირის სახელი გვარი, პოზიცია:
ელ-ფოსტა, ტელ-ნომერი:

სამუშაოების შესრულება

შეუზღუდავად

IV. საკვალიფიკაციო მოთხოვნა

შესრულების და საგარანტიო ვადები.